№2558 2015 წლის 27 ნოემბერი ქ. თბილისი

„საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის გეგმის ფარგლებში, სკრინინგული კვლევებისადმი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №1974 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის გეგმის ფარგლებში, სკრინინგული კვლევებისადმი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №1974 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ამ განკარგულებით განსაზღვრული ღონისძიებების უზრუნველყოფა განხორციელდეს „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ სახელმწიფო პროგრამისათვის (პროგრამული კოდი: 35 03 02 01) გათვალისწინებული ასიგნებებიდან, 133.0 ათასი ლარის ოდენობით.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**